სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/07/2024

MES 7 24 0000896913

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

“სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მაგისტრატურის დებულების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 7 თებერვლის N01-05-04/13 და 2024 წლის 19 ივლისის N01-05-04/119 დადგენილებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge 2024 წლის 26 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართი -1, დანართი 2);
3. ფაკულტეტებზე პასუხისმგებელ პირებს დაევალოთ ჩარიცხვის მსურველთა მიერ ატვირთული ინფორმაციის შემოწმება (პასუხისმგებელ პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართი 3);
4. განცხადებების რეგისტრაცია არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს დ. გორგიძეს;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;

6. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ